



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №04

ქ. ბათუმი

20 დეკემბერი, 2017 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პერსონალის პრემირების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, ბსუ-ს შინაგანაწესის მე-14 მუხლისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითი საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. 2017 წლის განმავლობაში გაწეული შრომითი საქმიანობის გათვალისწინებით, წინასაახალწლოდ წახალისების მიზნით, 2017 წლის დეკემბერში გაიცეს ერთჯერადი ფულადი ჯილდო (პრემია) თანდართული წესის (დანართი 1) შესაბამისად:
 - ა) ბსუ-ს პერსონალზე (ადმინისტრაციული, აკადემიური, სამეცნიერო და დამხმარე).
 - ბ) არანაკლებ 12 თვის განმავლობაში შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებულ პირებზე (უწყვეტად ან მხოლოდ, არაუმეტეს ერთი თვის ვადით შრომითი ურთიერთობის წყვეტის შემთხვევაში).
2. წინამდებარე გადაწყვეტილება არ ვრცელდება ბსუ-ში მოწვეულ პერსონალზე (მოწვეული სპეციალისტები, მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი, საგრანტო და სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული

პირები) და იმ პირებზე, რომლებიც იმყოფებიან აკადემიურ/დეკრეტულ შვებულებაში, ან რომელთაც 2017 წლის განმავლობაში 6 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ ჰქონიათ აქტიური შრომითი ურთიერთობა ბსუ-სთან.

3. ეთხოვოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინამდებარე გადაწყვეტილების მოთხოვნების გათვალისწინებით ბსუ-ს პერსონალზე (გარდა იმ პირებისა, რომელთაც 2017 წელს შეფარდებული აქვთ დისციპლინური სახდელი) ფულადი ჯილდოს (პრემია) გაცემის შესახებ ბრძანების გამოცემა არაუგვიანეს 2017 წლის 27 დეკემბრისა.
4. ბსუ-ს პერსონალის ერთჯერადი პრემირებისათვის ბიუჯეტი განისაზღვროს დანართი 2-ის შესაბამისად და დაევალოს თითოეული სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს უზრუნველყოს წინამდებარე გადაწყვეტილებასთან თავსებადი სამსახურებრივი ბარათების ბსუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის წარმოდგენა არაუგვიანეს 2017 წლის 22 დეკემბრისა.
5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი

დ. ბარათაშვილი

ბსუ-ს პერსონალისათვის 2017 წლის ერთჯერადი პრემიის გაცემის წესი

1. წინამდებარე წესი ადგენს 2017 წლის ბოლოს, წინასაახალწლოდ, ბსუ-ს პერსონალისათვის ერთჯერადი ფულადი ჯილდოს გადაცემისათვის (პრემირებისათვის) საორგანიზაციო პროცედურებს.

2. აკადემიური პერსონალის პრემირებისათვის შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელის წარდგინებით ფაკულტეტის დეკანმა ბსუ-ს რექტორს არაუგვიანეს 2017 წლის 22 დეკემბრისა უნდა წარუდგინოს სამსახურებრივი ბარათი:

ა) „ა“ კატეგორიის აკადემიური დატვირთვის მქონე აკადემიური თანამდებობის პირებისათვის - საშტატო განრიგით გათვალისწინებული შესაბამისი თანამდებობრივი სარგოს არაუმეტეს 100 %-ის ფარგლებში პრემირებისათვის;

ბ) „ბ“ კატეგორიის აკადემიური დატვირთვის მქონე აკადემიური თანამდებობის პირებისათვის - საშტატო განრიგით გათვალისწინებული შესაბამისი თანამდებობრივი სარგოს არაუმეტეს 25 %-ის ფარგლებში პრემირებისათვის;

გ) ბსუ-ს იმ აკადემიური თანამდებობის პირისათვის, რომელსაც არა აქვს სრული აკადემიური დატვირთვა, 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით მისი აკადემიური დატვირთვის (გარდა საათობრივი ანაზღაურების წესით შესასრულებელი სამუშაოს) გათვალისწინებით, შესაბამისი ყოველთვიური შრომის ანაზღაურების (დეკემბრის ხელფასის) 100%-ის ფარგლებში;

3. ბსუ-ს ადმინისტრაციული, დამხმარე ან სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენელზე, რომელსაც ამავდროულად უკავია ბსუ-ს აკადემიური თანამდებობა („ბ“ კატეგორიის აკადემიური დატვირთვის მქონე პირი), გაიცეს ერთჯერადი პრემია მხოლოდ, მის მიერ დაკავებული ადმინისტრაციული, დამხმარე ან სამეცნიერო თანამდებობისათვის განსაზღვრული შრომის ანაზღაურების არაუმეტეს 100%-ის ფარგლებში. ამ კატეგორიის პერსონალის პრემირებისათვის სამსახურებრივი ბარათები წარმოდგენილი იქნეს:

ა) დამხმარე თანამდებობის პირის შემთხვევაში - შესაბამისი დამხმარე სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ (ადმინისტრაციის ხელმძღვანელის/რექტორის ვიზირებით (რექტორის აპარატის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალის და აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსის შემთხვევაში):

ბ) სამეცნიერო თანამდებობის პირის შემთხვევაში - შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე და რექტორის ვიზირებით;

გ) ადმინისტრაციული თანამდებობის პირის (დეკანის მოადგილე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის) შემთხვევაში - ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი

ბარათის საფუძველზე და რექტორის ვიზირებით, ხოლო ადმინისტრაციული თანამდებობის სხვა პირებზე (რექტორი, რექტორის მოადგილეები და დეკანები) - ამ წესის მე-7 პუნქტის შესაბამისად;

4. ბსუ-ს სამეცნიერო თანამდებობის პირის სახელფასო განაკვეთის არაუმეტეს 100 %-ის ფარგლებში პრემირებისათვის შესაბამისი ინსტიტუტის განყოფილების უფროსის (მთავარი მეცნიერი თანამშრომლის) წარდგინებით ამავე ინსტიტუტის დირექტორმა უნდა წარუდგინოს სამსახურებრივი ბარათი ბსუ-ს რექტორს არაუგვიანეს 2017 წლის 22 დეკემბრისა.

5. ბსუ-ს დამხმარე თანამდებობის პირის (რომელსაც არ უკავია სხვა თანამდებობა ბსუ-ში) სახელფასო განაკვეთის არაუმეტეს 100 %-ის ფარგლებში პრემირებისათვის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა არაუგვიანეს 2017 წლის 22 დეკემბრისა უნდა წარუდგინოს სამსახურებრივი ბარათი:

ა) რექტორის აპარატის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალის და აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსის შემთხვევაში - ბსუ-ს რექტორს;

ბ) სხვა დამხმარე პერსონალის შემთხვევაში - ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;

6. არანაკლებ 12 თვის განმავლობაში შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული პირის (უწყვეტად ან მხოლოდ, არაუმეტეს ერთი თვის ვადით შრომითი ურთიერთობის წყვეტის შემთხვევაში) ყოველთვიური შრომის ანაზღაურების არაუმეტეს 100 %-ის ფარგლებში პრემირებისათვის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის უფროსმა არაუგვიანეს 2017 წლის 22 დეკემბრისა უნდა წარუდგინოს სამსახურებრივი ბარათი ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

7. ბსუ-ს ადმინისტრაციული თანამდებობის პირის (რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, რექტორის მოადგილეები და დეკანები) და ბიბლიოთეკის დირექტორის შესაბამისი თანამდებობრივი სარგოს არაუმეტეს 100 %-ის ფარგლებში პრემირების შესახებ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება გამოიცეს რექტორთან შეთანხმებით.

	სტრუქტურული ერთეული	საპრემიო ფონდი
1	სულ ფაკულტეტების ფონდი	392,000
1.1	მათ შორის: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფონდი	21,000
1.2	ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის ფონდი	43,000
1.3	იურიდიული ფაკულტეტის ფონდი	20,000
1.4	ტურიზმის ფაკულტეტის ფონდი	17,000
1.5	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფონდი	109,000
1.6	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ფონდი	98,000
1.7	ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფონდი	25,000
1.8	განათლების ფაკულტეტის ფონდი	21,000
1.9	ტექნოლოგიური ფაკულტეტის ფონდი	38,000
2	სულ კვლევითი ინსტიტუტების ფონდი	82,000
2.1	მათ შორის: ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის ფონდი	27,000
2.2	აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის ფონდი	30,000
2.3	ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფონდი	25,000
3	უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, დამხმარე და ტექნიკური პერსონალის ფონდი	130,000
4	სახელშეკრულებო დამხმარე ტექნიკური პერსონალის ფონდი	20,000
	ჯამი	624,000

